

---

## სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

### ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას

ნათია ნაკვალაძე\*

სააპელაციო სასამართლომ 1999 წლის 5 ნოემბრის №22/818 გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა პროცენტის (საურავის) მოთხოვნის ნაწილში და მოპასუხეს (საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტს) დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილ გადასახადებზე პროცენტის გადახდა.

#### 1. საქმის გარემოებანი

მოსარჩელის სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა მის მიერ 1998 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტირებული სანჯავის განბაჟებისას ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდის დღისათვის აშშ-ის დოლართან მიმართებაში ლარის არსებული კურსით დაბრუნება, ანუ კურსთაშორის სხვაობით განცდილი ზარალის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის შესაბამისად. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა ზარალის ანაზღაურების სახით 11 656, 27 აშშ-ის დოლარის გადახდა, რაც რაიონული სასამართლოს მიერ მოტივირდა შემდეგნაირად: 1996 წლის 8 მარტის შეთანხმება „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1997 წლის 16 აპრილს, მაგრამ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა შესრულდეს 1996 წლის 10 ივლისიდან, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 ივნისის №408 ბრძანებულების მიხედვით, რომლითაც ზემომითითებული შეთანხმება დამტკიცდა. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა იმპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებიდან გათავისუფლება, რაც არ შესრულდა მოპასუხის მხრიდან და მოსარჩელეს ზედმეტად დაერიცხა საბაჟო გადასახადი 44 438, 18 ლარი, რაც მას 1999 წლის 4 მარტს უკან დაუბრუნდა. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საბაჟო გადასახადი გადახდილია უცხოური ვალუტით, აშშ-ის დოლარით, რამაც შეადგინა 32 617, 67 აშშ-ის დოლარი, ხოლო ეროვნულ ვალუტა – ლარსა და აშშ-ის დოლარის კურსთა სხვაობა გადახდილ და დაბრუნებულ თანხას შორის შეადგენს 11 656, 27 აშშ-ის დოლარს, რაც წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განცდილ მატერიალურ ზარალს. შესაბამისად, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებისას იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე (9) მუხლით და სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით.

---

\* თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტმა მითითებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება, შესაბამისად, – სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით: საბაჟო დეპარტამენტში არ შემოსულა და შესაბამისად საბაჟო ორგანოებისათვის სახელმძღვანელოდ არ დაგზავნილა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათაშორის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რის გამოც საბაჟო ორგანოებს არ შეეძლოთ, გაეთვალისწინებინათ მისი მოთხოვნები და გაეგრძელებინათ შეღავათები იმპორტიორებზე საბაჟო გადასახადების ნაწილში. აპელანტმა მიიჩნია, რომ საბაჟო ორგანოთა და მისი მუშაკების მოქმედება არაბრალეულია და არ უნდა დადგეს ზიანის მიყენებისათვის მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

აპელაციის იურიდიულ მხარეს წარმოადგენს სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 412-ე და 997-ე მუხლების გაუთვალისწინებლობა და გამოყენებლობა, ვინაიდან მითითებული ნორმების საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრება უკანონოა.

სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ აპელანტის სააპელაციო საჩივარზე წარმოდგენილ შეპასუხებაში გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე და მოითხოვა ზედმეტად გადახდილ გადასახადზე საურავის დარიცხვა 2 283 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მხარეთა მიერ წარმოდგენილი და სასამართლოს ინიციატივით მოკვლეული მტკიცებულებები და მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება არ არის კანონიერი, იგი უნდა გაუქმდეს და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე(ა) მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. შესაბამისად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული.

## **2. სასამართლოს მოტივაცია**

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ საბაჟო გადასახადი გადაიხადა აშშ-ის დოლარით, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულებით დადგენილ იქნა, რომ 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ვალუტა „ლარი“, აგრეთვე, 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ კანონის“ 36-ე მუხლში 1995 წლის 19 სექტემბრის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ „საქართველოს ფულის ერთეულია ლარი“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადასახადო საშუალება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“, შესაბამისად, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საბაჟო გადასახადების გადახდა ხორციელდება ეროვნული ვალუტით – ლარით. საბაჟო კოდექსის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციას ავსებს თავად დეკლარანტი, ხოლო, რადგან მითითებული ნორმატიული აქტების საფუძველზე გადასახადის გადამხდელმა გადასახადი

გადაიხადა ეროვნული ვალუტით, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი თანხაც საბაჟო ორგანომ დააბრუნა ლარებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თანხის უცხოური ვალუტით – აშშ-ის დოლარით გადახდის დაკისრების თაობაზე ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 222-ე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია: „უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ლარებზე: ა) ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ იმ კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსის მიხედვით“. ამასთან, საბაჟო გადასახადის დარიცხვისა და გადახდევინების წესს არეგულირებს საქართველოს 1998 წლის 20 მარტის კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, რომლის მე-19 მუხლით განსაზღვრულია, რომ საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძველია სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია. ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საბაჟო გადასახადის თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმების დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებს საბაჟო დეკლარაციებში დაფიქსირებული აშშ-ის დოლარის (ან სხვა რომელიმე ვალუტის) კურსი ლართან მიმართებით და არა იმას, როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებს და ეს რაიონულმა სასამართლომაც გაიზიარა, კერძოდ, საქონლის განბაჟება მოხდა აშშ-ის დოლარით და რაკი თანხის უკან დაბრუნება მოხდა იმ დროისათვის არსებული კურსის გაუთვალისწინებლად, მოსარჩელემ განიცადა ზარალი 11 656, 27 აშშ დოლარის ოდენობით, ამიტომ სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს რაიონული სასამართლოს მტკიცებულებას აღნიშნულზე, ვინაიდან არ არის დადგენილი, თუ რით გამოიხატა მიყენებული ზიანი, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ საბაჟო გადასახადის ზედმეტი ოდენობით გადახდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულია საბაჟო გადასახადის გადახდევინების საფუძველის – საბაჟო დეკლარაციის შევსების წესი, დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი, საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და ფორმის წესი, რომლის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ საბაჟო გადასახადების გაანგარიშებისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო მონაცემებს იძლევა თავად დეკლარანტი, ანუ საქონლის გამამადგილებელი პირი, ხოლო საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას დადგენილი წესით, ხოლო რეგისტრაციის მომენტიდან იგი იქცევა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთად“. 1998 წელს, მოსარჩელემ, მოახდინა რა აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმება საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე, არ ჰქონია რაიმე პრეტენზია გაცხადებული გადასახადის ზედმეტად გადახდაზე და როგორც საქმის მასალებით და საქმის სასამართლო განხილვით დასტურდება, გადასახადების ზედმეტად გადახდის შესახებ მისთვის ისევე, როგორც საბაჟო ორგანოსთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. ამდენად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის გადახდით რეალურად თუ რა სახის ზარალი განიცადა მოსარჩელემ თანხის უკან დაბრუნებამდე დაუსაბუთებელია. აქ სააპელაციო სასამართლო გულისხმობს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ გადასახადების ზედმეტად გადახდისას არ ყოფილა გაუთვალისწინებელი ხარჯი, რადგან მიიჩნევენ, რომ იხდიდნენ კანონით გათვალისწინებული ოდენობით და შეღავათების არსებობის თაობაზე მათთვის ცნობილი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული შეთანხმება უცნობი იყო როგორც საბაჟო ორგანოები-

სათვის, ისე მათი სახელმწიფო მოხელეებისათვის და ამდენად იგი არ სრულდებოდა – მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 29 დეკემბრის №991 განკარგულებით დარეგულირდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებათა რეალიზაციის პროცესში ბიუჯეტსა და იმპორტიორებს შორის წარმოქმნილი ურთიერთდავალიანების დაფარვის საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა 1996 წლის 8 მარტის შეთანხმების „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ძალაში შესვლისა და ამოქმედების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს 1996 წლის 10 ივლისიდან. აღნიშნულზე მსჯელობისას სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ შეთანხმება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ 1997 წლის 16 აპრილს და რომ შეთანხმების 1996 წლის 10 ივლისიდან ძალაში შესვლის თარიღად მიჩნევა კონსტიტუციისა და 1993 წლის 11 თებერვლის სპეციალური კანონის – „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციისა და დენონსაციის შესახებ“ დებულებათა დარღვევას ნიშნავს, რადგან მითითებულ შეთანხმების ძალაში შესვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ რატიფიცირება. შესაბამისად, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა მითითებული შეთანხმების ძალაში შესვლის საკითხის შეფასებისას და ამოქმედების თარიღის დადგენისას.<sup>1</sup>

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი და ამასთან არასწორად განმარტა ნორმა, როცა მიიჩნია, რომ დავა ეხება არამართლზომიერი ქმედების შედეგად ზიანის მიყენების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობებს და მიზანშეწონილად ჩათვალა 389-ე მუხლის გამოყენება, ხოლო ამ ნორმის არასწორი განმარტებით სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნულ შემთხვევაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოში 1998-1999 წლებში არც ფულის ერთეული (კურსი) გაზრდილა ან შემცირებულა; ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება გულისხმობს მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას, როგორც ეს, მაგალითად, მოხდა რუსეთში უახლოეს წარსულში რუბლის შემთხვევაში, როცა 1000 რუსული რუბლი გაუტოლდა 1 რუსულ რუბლს ანუ შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), რასაც საქართველოში მითითებულ პერიოდში ადგილი არ ჰქონია; ასევე, არ შეცვლილა ვალუტა. მითითებულ მუხლში არ არის განსაზღვრული, რომ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლა გულისხმობს ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის შეცვლას სხვა რომელიმე ვალუტასთან მიმართებით, ამდენად, ამ ნორმის, მით უფრო მისი არასწორი ინტერპრეტაციით, გამოყენება კონკრეტული დავის გადაწყვეტისას დაუშვებელია.

საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, საბაჟო ორგანოები და მათი მოხელეები პასუხისმგებელნი არიან იმ ზიანისათვის, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მათ ქონებას მიაყენეს თავიანთი არამართლზომიერი გადაწყვეტილებით, მოქმედებით ან უმოქმედობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხოლო ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ლოგიკურია, რომ ზიანის დადასტურების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმები, ასევე, მართებული იქნება კონსტიტუციის 42-ე (9) მუხლზე მითითება.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის უკვე არსებობდა სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 1999 წლის 1-ლი სექტემბრის გადაწყვეტილება 03ბ/16 საქმეზე, რომლითაც დადგინდა მითითებული მთავრობათაშორისი შეთანხმების რატიფიცირების აუცილებლობა, მისი იურიდიული ძალის მქონედ აღიარებისათვის.

რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საბაჟო ორგანოთათვის შეუძლებელია, ცნობილი ან სავარაუდო ყოფილიყო მომავალში ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართება უცხოურ ვალუტებთან, მათ შორის აშშ-ის დოლართან, მით უმეტეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც ნებისმიერი ვალუტა მერყეობს დღის განმავლობაშიც კი და ეს ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ბუნებრივი მოვლენაა.

სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია საბაჟო ორგანოს არამართლზომიერი ქმედება, როცა საბაჟო გადასახადების გადახდისას მოსარჩელეს ზედმეტად გადაახდევინეს გადასახადი, რაც თვით მოპასუხემ აღიარა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ფაქტით და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ საურავის (პროცენტის) ნაწილში: საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლი გადასახადის უკანონოდ გადახდევინების შემთხვევაში უთითებს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, ეს უკანასკნელი კი ადგენს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, გადასახადის ზედმეტად გადახდევინების შემთხვევაში, პროცენტი გადახდილი უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელისთვის ანაზღაურების შესახებ დეკლარაციის წარდგენის მომენტიდან ნამეტი თანხის დაბრუნების მომენტამდე... გადახდილი პროცენტი კი უთანაბრდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ საქმის სასამართლო განხილვისას ცნო მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში და აღიარა პროცენტის გადახდის დაკისრების კანონიერება საბაჟო ორგანოზე მოსარჩელის სასარგებლოდ, შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრა პროცენტის სახით 2 641, 35 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი მიყენებული ზარალის სახით მოპასუხისათვის 11 656, 27 აშშ-ის დოლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ, ხოლო გაზრდილი მოთხოვნა საურავის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2 641, 35 ლარის გადახდა.

### **3. კომენტარი**

მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტის გამო, რასაც ქვემოთ განვიხილავთ; აქ კი დავსძენთ, რომ გადაწყვეტილებას სასამართლო პრაქტიკისთვის ჰქონდა პრეცედენტული ხასიათი და იგი დღემდე უცვლელია.

ა) ამ დროისათვის აქტუალური იყო თემა – სააპელაციო სასამართლოს როლი და დანიშნულება ქართულ სასამართლო სისტემაში და ხაზგასმული იყო შეხედულება, რომ კოლეგიური სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა არსებითად განხილვა მხოლოდ დროის დაკარგვაა უამისოდაც გაჭიანურებულ სასამართლო პროცედურებში.

ჩვენი აზრით, კონკრეტული გადაწყვეტილება მკაფიო მაგალითია საპირისპიროს სამტიციცებლად, ვინაიდან მასში მხარეთა მოთხოვნებთან, მოსაზრებებთან, რაიონული სასამართლოს დასკვნა-დასაბუთებასა და აპელაციის მოტივებთან ერთად, მოცემულია არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული მოსაზრებები და დასკვნები, არამედ

იურიდიულად დასაბუთებული კრიტიკა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა, რომლებიც დაირღვა სამართლის ნორმები და რომელიც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ახალი გადაწყვეტილებით, რაც, თავის მხრივ, დამყარებულია კანონის მართებულ გამოყენებასა და სწორ განმარტებაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისას გადაწყვეტილების დასაბუთებული კრიტიკა მიგვაჩნია აუცილებელ და მნიშვნელოვან ფაქტორად, რათა ქვემოთსააპელაციო არ დარჩეს უკმარობისა და ბუნდოვანების განცდა, თუ რატომ გააუქმა სასამართლომ მისი გადაწყვეტილება, რაც შეესაბამება კიდეც სსს კოდექსის 389-ე მუხლის დ) პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში მოცემული უნდა იყოს საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ბ) მოცემული გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ ახლებურად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი; ახლებურად, ვინაიდან იგი სრულად განსხვავდებოდა იმ დროინდელი სასამართლო პრაქტიკით დადგენილი განმარტებისაგან. ვფიქრობთ, სააპელაციო სასამართლოს განსხვავებულ ინტერპრეტაციას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა:

- 1) კანონის მართებული გაგებისთვის,
- 2) სამოსამართლო სამართლის როლისა და დანიშნულებისთვის,
- 3) სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რაც გამოიხატებოდა პრაქტიკულ შედეგში.

თუ არა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ახალი, მართებული განმარტება, ეროვნული ვალუტა ლარის აშშ-ის დოლართან კურსთაშორის სხვაობის (მზარდი თუ კლებადი ინფლაციის) გათვალისწინება საგადაამხდელო ურთიერთობაში (რაც დამკვიდრებულ იქნა სასამართლო პრაქტიკით) ფაქტობრივად, უმოკლეს პერიოდში გამოინვევდა ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის გაძევებას ბრუნვიდან და სრულიად უნაყოფოს გახდიდა სახელმწიფოს მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადაამხდელო საშუალებად ეროვნული ვალუტა „ლარის“ გამოცხადებისა და უზრუნველყოფის თაობაზე მიღებულ ღონისძიებებს, სახელმწიფო დაკარგავდა ერთ-ერთ აუცილებელ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს – ეროვნულ ფულს. საინტერესოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის განმარტებისა და გამოყენებისას სასამართლოები აიგივებდნენ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას ქართული ვალუტის კურსის მიმართებას უცხოურ ვალუტებთან, რაც ახლოსაა „ფულის კურსის“ მიმართ საყოფაცხოვრებო დამოკიდებულებასთან და საერთო არაფერი აქვს სამართლებრივ ინტერპრეტაციასთან; ამასთან, საგულისხმოა, რომ სასამართლოები აკმაყოფილებდნენ რა სარჩელებს ფულის კურსთაშორის სხვაობით (იგულისხმება ლარის დოლართან მიმართება) გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თაობაზე, უგულვებელყოფდნენ იმ გარემოებას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სავსებით დასაშვებია ვალუტის მერყეობა და რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ლარის კურსი აშშ-ის დოლართან მიმართებით გაიზრდებოდა, ვფიქრობთ, ეს სრულ ქაოსს გამოიწვევდა, უპირველესად, სასამართლოში დავათა განხილვისას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის ინტერპრეტაციისას მითითებული მაგალითიც რუსეთის სახელმწიფოში განხორციელებული ფინანსური რეფორმის შესახებ, როდესაც შეიცვალა ფულის ერთეულის ნომინალური ღირებულება, ადასტურებს სააპელაციო სასამართლოსეულ სწორ და მართებულ ინტერპრეტაციას, ამყარებს აზრს, რომ კანონი სწორედ ამგვარ ვითარებაში (ანუ საჯარო სამართლის სუბიექტის – სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შემთხვევაში) იცავს მოვალის ფინანსურ ინტერესებს, როცა ადგენს, რომ გადახდა უნდა მოხდეს ფულადი ვალდებულებების წარმოშობის დროისათვის არსებული კურსით და ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებისას მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესები. ეს კი ქართული სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით ამ სფეროში რეალიზებულია.